25/09/2024

MES 8 24 0001206882

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლა:
დიანა კახელი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლა:
ა) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს შუამდგომლობით, რადგან დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხის განხილვას სჭირდებოდა შედარებით მცირე დრო, ცვლილება შესულიყო საბჭოს დღის წესრიგში და პირველ საკითხად საბჭოს მიერ განხილულიყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 02 სექტემბერს ცენტრში შემოვიდა სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის დირექტორის კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში, სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის დირექტორის გვარი შეცდომით იყო დაფიქსირებული. კერძოდ, ნაცვლად ნინო შველიძისა, ოქმში მითითებული იყო ნინო მიშველიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა:
ლალი კოჭლამაზაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა:

ნინო შველიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა:
მაია ზაკალაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა:
მალხაზ გელბახიანი -სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლა:
კახაბერ ჩიხელიძე -სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლა:
ნინო გელდიაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლა:
ხათუნა სვანაძე -სკოლის დირექტორი.“

2. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცენტრში წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულებას ასევე სურდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, მას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 45 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4

(მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან, კომპონენტები 2.1 (კურიკულუმის შემუშავება), 2.2 (კურიკულუმის განხორციელება), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის პოლიტიკა, შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო 6 ერთეული ვიდეო-კამერა. მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰყავდა მანდატური, თუმცა სკოლაში ბრძანებით იყო განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და განმარტა, რომ სკოლაში იყო ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, შიდა და გარე სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი და წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკა. ექსპერტის განმარტებით, გარდა იმისა, რომ სკოლას ჰქონდა კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, თითოეულ მასწავლებელს პერსონალურად ჰქონდა სკოლის მიერ გადაცემული კომპიუტერი, რადგან დაწესებულება დიდ ყურადღებას აქცევდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას. ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იყო ადაპტირებული და შშმ პირთათვის სართულებს შორის მოსაწყობი იყო პანდუსი.

ექსპერტის, თამარ მიდელაშვილის, განმარტებით, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი იყო საშუალო საფეხურის დამატება, რადგან სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და იდგა მიგრაციის პრობლემის წინაშე, ვინაიდან მოსწავლეებს საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ საშუალო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად სხვა სოფელში უწევდათ წასვლა.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებისთვის და ხარისხიანი საგანმანათლებო პროცესის განხორციელებისთვის ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი. აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იყო თუ არა რეგიონში სხვა საჯარო სკოლა, რომელიც ახორციელებდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტის, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლამ 2017 წლის 1 ივლისს წერილით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, რომლის პასუხადაც საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებისთვის საშუალო საფეხურის განხორციელების უფლების მინიჭება. ექსპერტის, მაია მამისეიშვილის, განცხადებით, გასულ წელებში საბაზო საფეხური დაამთავრა რამდენიმე მოსწავლემ, მაგრამ სწავლას ვერ აგრძელებდნენ საშუალო საფეხურზე, რადგან საშუალო საფეხურის მქონე საჯარო სკოლა მდებარეობდა 10 კილომეტრის დაშორებით და პრობლემას წარმოადგენდა ტრანსპორტირების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ემსახურებოდა თუ არა სკოლას მუნიციპალური ტრანსპორტი. დაწესებულების დირექტორის, დიანა კახელის, განმარტებით, რეგიონს და სკოლას არ ემსახურებოდა მუნიციპალური ტრანსპორტი და მეორე სკოლა, სადაც

ხორციელდებოდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, დაშორებული იყო 10 კილომეტრის მანძილზე, შესაბამისად, მოსწავლეებისთვის რთული იყო გადაადგილება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნის მიზნით, ჰქონდა თუ არა სკოლას მიმართვა გაგზავნილი შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნისთვის, სკოლას პ ასუხისმგებელი ორგანოსთვი არ მიუმართავს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, საშუალო საფეხურზე სწავლებისთვის კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვის რა პერსპექტივა ჰქონდა სკოლას.
დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლას ბიოლოგიისა და მათემატიკის მასწავლებლების აყვანისთვის გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია და შერჩეული ჰყავდა პედაგოგები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა სკოლის შესყიდვების გეგმის საკითხით, კერძოდ, რატომ იყო სხვაობა დამტკიცებულ შესყიდვების გეგმასა და რეალურად გაწერილ თანხებს შორის.
სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული სხვაობა გამოწვეული იყო საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთით.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, ასევე დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას შინაგანაწესში მკაცრად განსაზღვრული, რომ მოსწავლეს არ შეეძლო მობილური ტელეფონის გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე.
სკოლის დირექტორის, დიანა კახელის, განმარტებით, აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებდა და ჩაასწორებდა.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ სკოლას დაემატებოდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ჰყავდათ თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომელიც უზრუნველყოფდა სავალდებულო პროექტულ სწავლებას.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რომელიც წარუძღვებოდა პროექტულ სწავლებას საშუალო საფეხურზე.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სკოლას მისცა რჩევა, რომ ჩაესწორებინათ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სათაური, ვინაიდან ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სათაურად მითითებული ჰქონდათ „სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“. სკოლის დირექტორმა, დიანა კახელმა, განაცხადა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და ჩაასწორებდა სათაურს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას რჩევის სახით განუცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა შეფასების რუბრიკები გაეხადათ მეტად ანალიტიკური და ასევე, მიემართათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 45 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლას (ს/კ: 224081749) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისგანხორციელებისენა	ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლისდაქუჩისმითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი თისელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი თისელი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საბჭომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლისთვის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭება. საბჭოს წევრების მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მომხდარიყო მუნიციპალური ტრანსპორტით უახლოეს სოფელში მდებარე საშუალო საფეხურის მქონე საჯარო სკოლაში. გარდა ამისა, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მდგრადობის საკითხი იყო კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან, სკოლას მომავალ სასწავლო წელს ეყოლებოდა მხოლოდ ერთი მე-10 კლასის მოსწავლე,

ხოლო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2025-2026 სასწავლო წლიდან მე-10 კლასი წარმოადგენდა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 2.1 (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, შიდა პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის ცენტრში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:10 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად